

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის საორგანიზაციო განყოფილების  
მთავარი სპეციალისტის ვალერი წულაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ სარჯველადის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ამომრჩევლებთან წარდგენის ოქმი N:1.

დანართი: ოქმი№ 1-2(ორი)ფურცელი

პატივისცემით,

ვალერი წულაძე

მთავარი სპეციალისტი

საორგანიზაციო განყოფილება



ლანჩხუთის საკრებულოს წევრის იოსებ სარჯველაძის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის (პერიოდი: 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ჩიბათი

შეხვედრის თარიღი: 19.10.2015 წელი 15.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ჩიბათის მაჟორიტარი დეპუტატი იოსებ სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მანია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იოსებ სარჯველაძე შეხვდა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას. მან ვრცლად ისაუბრა და შეაჯამა ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულ და შემდგომ პერიოდში გასაკეთებელ სამუშაოებზე.

დეპუტატმა განმარტა რომ ძირითადი აქცენტები გაკეთებული იყო იმ მოსახლეობაზე რომლებსაც დაენგრათ ხიდები და არ ჰქონდათ მათი აღდგენის შესაძლებლობა.

ასევე ძირითადი სამუშაოები განხორციელდა სანიაღვრე არხების გაწმენდის მიმართულებით, კერძოდ ქვემო ჩიბათში გაიწმინდა სანიაღვრე არხები თითქმის ყველა კუთხეში, რომელიც წვიმიან ამინდში ტბორავდა ქუჩებს და მოსახლეობას.

ზემო ჩიბათში განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყო გაბიონები, გაკეთდა ხიდი, ასევე ზემო ჩიბათის კლუბთან გასწორდა „სინკარები“ რომელიც საშიშროებას უქმნიდა ხიდის დანგრევას. პურუტყვის გადასარეკ ადგილზე გაკეთდა დამცავი ბადე, სამუშაოებზე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული.

ჭალაზე გაკეთდა ხიდი, მთლიანად გაიწმინდა სანიაღვრე არხები და ძირითად არხს შეუერთდა.

სოფლის პროგრამით შეიღობა საბავშვო ბაღის ეზოს წინა ნაწილი.

სამომავლოდ დაგეგმილია ქვემო ჩიბათში წყლის პრობლემის მოგვარება, კერძოდ სოფელში არის 300 ტონიანი ავზი რომელიც ამარაგებს სოფელს წყლით. წლევიანდელი ცხელი ზაფხულის და გვალვების გამო ავზი 2 საათში იცლებოდა და მოსახლეობა ფაქტიურად წყლის გარეშე რჩებოდა, აუცილებლად უნდა აღდგეს არტერიული ჭიდან წყლის მიწოდება, რომელიც უზუნველყოფს ავზის ინტენსიურად წლით მომარაგებას რაც მნიშვნელოვნად გადაწყვეტს ამ პრობლემას აღნიშნა დეპუტატმა.

ზემო ჩიბათში იგეგმება რკინა-ბეტონის გზის მშენებლობა, რომლის სიგძე დაახლოებით 200 მეტრი იქნება. ასევე კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

როგორც მოსახლეობამ განაცხადა ცენტრარულ და შიდა გზებზე არის მონაკვეთები სადაც გარე განათება არ არის, უახლოეს მომავალში ეს საკითხი მოგვარდება აღნიშნა დეპუტატმა.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ელგუჯა ზენაიშვილმა აღნიშნა რომ ჭალის სასაფლაოზე ბეტონის გზა არის სანახევროდ დაგებული და აუცილებელია როგორც მისი დასრულება ასევე სხვა გზების მოხრეშვა.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ზურიკო ჩხაიძემ მოითხოვა ხელოვნურ საფარიანი მინი სტადიონის დასრულება. მოსახლეობამ ერთხმად მოითხოვა ჩიბათის ახალაშენებული სკოლისთვის სპორტული დარბაზის მიშენება ,რომელიც პროექტში თავიდანვე იყო გათვალისწინებული მაგრამ სკოლა სპორტული დარბაზის გარეშე შევიდა ექსპლუატაციაში .

სოფლის მკვიდრმა გიორგი მგელაძემ მოითხოვა ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობა, აუცილებელი მოთხოვნა იყო წყლის პრობლემის საბოლოოდ მოგვარება, რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების გაკეთება , ასევე დამსწრეთა უმრავლესობის მხიდან გულისტკივილით გამოითქვა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პრობლემა.

ჩიბათის მაჟორიტარი დეპუტატი



იოსებ სარჯველაძე.